



2019

---

# გზამკვლევი აუდიტის კომიტეტის შესახებ

გზამკვლევის ადაპტირებული ვერსია მომზადებულია ააიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის“ მიერ.

ქართული ვერსიის გამოცემაზე მუშაობდნენ:

ეკა გეგეშიძე  
გიორგი რუსიაშვილი  
ტარიელ გვალია

თბილისი, საქართველო 2019. ააიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი“ ©



დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანება  
INDEPENDENT DIRECTORS ASSOCIATION



JA Georgia  
100 YEARS OF ACHIEVEMENT  
A Member of JA Worldwide

გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC) პასუხისმგებელია კორპორაციული მართვისა და ანგარიშგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზე ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ ვაწესებთ გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსს და საზედამხედველო რეგულაციებს, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოს სტანდარტებს ფინანსური აღრიცხვის, აუდიტის და აქტუარული აღრიცხვის დარგში. ჩვენ წარმოვადგენთ გაერთიანებული სამეფოს ინტერესებს საერთაშორისო სტანდარტების დაწესების თვალსაზრისით. აგრეთვე, მონიტორინგს ვუწევთ და ზომებს ვიღებთ კორპორაციული ანგარიშგების და აუდიტის ხარისხის ასამაღლებლად. ვახორციელებთ დამოუკიდებელ დისციპლინარულ წარმოებებს ბუღალტრთა და აქტუარებისთვის, ასევე ვუწევთ ზედამხედველობას ბუღალტრული და აქტუარული პროფესიული უწყებების მარეგულირებელ საქმიანობას.

ფინანსური ანგარიშგების საბჭო პასუხისმგებლობას იხსნის ნებისმიერი მხარის წინაშე, ნებისმიერი სახის ზარალზე, ზიანსა და დანახარჯზე, რომელიც წარმოიშვა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონტრაქტიდან, კანონდარღვევიდან, ნებისმიერი ქმედებიდან ან სხვა მიღებული (ან მიუღებელი) გადაწყვეტილებიდან გამომდინარე იმის შედეგად, რომ პირი დაეყრდნო ან არ გაითვალისწინა წინამდებარე დოკუმენტის მოცემულობა.

© The Financial Reporting Council Limited 2016

The Financial Reporting Council Limited is a company limited by guarantee.

Registered in England number 2486368. Registered Office:

8th Floor, 125 LondonWall, London EC2Y 5AS

## სარჩევი

ნაწილი 1: შესავალი	1
ნაწილი 2: აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბება და ეფექტურობა	3
ნაწილი 3: ფუნქციები და მოვალეობები	6
ნაწილი 4: კომუნიკაცია აქციონერებთან	16



## ნაწილი 1: შესავალი

1. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებისთვის, რათა დაეხმაროს მათ ორგანიზაციის აუდიტის კომიტეტებისთვის სათანადო პროცედურების ჩატარებაში, ასევე ხელი შეუწყოს აუდიტის კომიტეტებში მომუშავე დირექტორებს თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. თუმცა, საბჭოს არ მოეთხოვება სახელმძღვანელოში გაწერილი მითითებების ზედმიწევნით დაცვა, საბჭოს შეუძლია მისი გამოყენება გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული კოდექსის კონკრეტული დებულებების იმპლემენტაციის დროს, და, ის განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ კოდექსის C3 ნაწილთან ერთად.
2. საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე თითოეულმა საბჭომ დეტალურად უნდა განიხილოს აუდიტის კომიტეტის სპეციფიკაცია და პროცედურები, რომლებიც მიესადაგება კონკრეტულ გარემოებას. აუდიტის კომიტეტის სპეციფიკა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის წინაშე მდგარ ამოცანებს, რომლებიც, როგორც წესი, განსხვავებული იქნება კომპანიის ზომის, მოცულობისა და რისკის მახასიათებლების მიხედვით.
3. მაშინ როდესაც ყველა დირექტორს ევალება იმოქმედოს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, აუდიტის კომიტეტს გააჩნია განსაკუთრებული როლი და ის იმოქმედებს აღმასრულებელი რგოლისგან დამოუკიდებლად და ზრუნავს, რომ აქციონერების ინტერესები იყოს სათანადოდ დაცული ფინანსური ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის თავსაზრისით. თუმცა, სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში რისკის მართვისა და შიდა კონტროლის მიმართ არსებულ მიდგომებზე, დაუშვებელია ამ სახელმძღვანელო მითითებების ინტერპრეტირება, როგორც ერთიანი (უნიტარული) საბჭოს პრინციპიდან გადახვევა. ნებისმიერი უთანხმოება საბჭოს შიგნით, მათ შორის აუდიტის კომიტეტის წევრებსა და დანარჩენი საბჭოს წევრებს შორის, უნდა მოგვარდეს საბჭოს დონეზე.
4. სახელმძღვანელო მითითებები მოიცავს რეკომენდაციებს აუდიტის კომიტეტსა და საბჭოს, აღმასრულებელ მენეჯმენტსა და შიდა და გარე აუდიტორთა შორის ურთიერთობებზე. მათი მთავარი მახასიათებლებია გულწრფელი და ღია სამუშაო ურთიერთობები, ასევე ურთიერთპატივისცემის მაღალი დონე. აუდიტის კომიტეტი მზად უნდა იყოს დაიცვას თავისი პოზიცია, ხოლო დანარჩენმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომიტეტს ჰქონდეს თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე, ასევე მოუსმინოს მათ მოსაზრებებს და ღიად განიხილოს პრობლემური საკითხები.
5. ეს ნიშნავს, რომ მენეჯმენტი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტის კომიტეტის ინფორმირება და გამოიჩინოს ინიციატივა პირველმა მიაწოდოს ინფორმაცია და არ დაელოდოს მოთხოვნას. საბჭომ უნდა განუმარტოს ყველა დირექტორსა და თანამშრომელს, რომ მათ უნდა ითანამშრომლონ აუდიტის კომიტეტთან და მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ის მოითხოვს. გარდა ამისა, აღმასრულებელი საბჭოს წევრები ვალდებული არიან მიაწოდონ ყველა დირექტორს, მათ შორის აუდიტის კომიტეტის წევრებს, მთელი ინფორმაცია, რომელიც შეეხება ამ კომპანიის დირექტორის მოვალეობებს.
6. ამ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემული აუდიტის კომიტეტის ბევრი ძირითადი ფუნქცია არის გამოხატული ტერმინებით „ზედამხედველობა“, „შეფასება“ და „გადამოწმება“. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაში არ შედის სხვების ფუნქციების

შეთავსება, როგორცაა მაგალითად, კომპანიის ხელმძღვანელობის ფუნქცია ფინანსური ანგარიშგების პროცესში, ან აუდიტორების ფუნქცია აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარების პროცესში. ასეთმა ჩარევამ შეიძლება ხელი შეუშალოს მენეჯმენტისა და აუდიტორების ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტმა უნდა გაანალიზოს საკუთარი ინიციატივის ძირითადი ასპექტები, რათა საზედამხედველო ფუნქცია არ გადაიქცეს უფრო სიღრმისეულ მუშა პროცედურებად. თუ არსებობს სერიოზული შეუსაბამობის ან დარღვევების ნიშნები, აუდიტის კომიტეტი უნდა ჩაერიოს ამ საკითხის აღმოფხვრაში.

7. ჯგუფის დონეზე, სათავე კომპანიის აუდიტის კომიტეტისთვის ზოგადად აუცილებელი იქნება იმ საკითხების განხილვა, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ შვილობილ კომპანიის ან ჯგუფის (ჰოლდინგის) მიერ განხორციელებულ ქმედებებს. შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს ლისტინგში არსებული კომპანიის საბჭომ, რომელსაც აქციები აქვს განთავსებული ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში, უნდა უზრუნველყოს ადეკვატური ჯანსაღი თანამშრომლობა ჰოლდინგის შიგნით (ასევე მოწესრიგებული ურთიერთობები ცალკეული კომპანიების შიდა და გარე აუდიტორებთან), რათა სათავე კომპანიის აუდიტის კომიტეტმა შეძლოს ეფექტურად განხორციელოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
8. ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები შედგება სამი ნაწილისგან. მეორე ნაწილი ეხება აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბებას და ეფექტურობას. მესამე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია აუდიტის კომიტეტის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ, ხოლო მეოთხე ნაწილში განხილულია აქციონერებთან კომუნიკაციის საკითხები.

**საქართველოში აუდიტის კომიტეტის შექმნა და ფუნქციონირება საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ სავალდებულოა „ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის“(\*). ასევე, საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ აუდიტის კომიტეტი უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისათვის (სდპ)\*\*). კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტის კომიტეტი არის სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტი და დაკომპლექტებულია საბჭოს წევრებისაგან, რომელთაგან ერთი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს კანონით განსაზღვრულ გამოუკიდებელ წევრს.**

საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მიხედვით კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოები ქმნიან აუდიტის (და სხვა შესაძლო) კომიტეტებს, რომელთა **უმრავლესობა** უნდა დაკომპლექტდეს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრებით.

\*„ანგარიშვალდებული საწარმო“ - იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალეები.

\*\*საზოგადოებრივი დაინტერესების პირი - იურიდიული პირი, რომელიც არის „ანგარიშვალდებული საწარმო“, ბანკი, მიკროსაფონანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო კომპანია, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საინვესტიციო ფონდი, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი.

## ნაწილი 2: აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბება და ეფექტურობა

### კომიტეტის შექმნა და მისი უფლებამოსილება

- სამეთვალყურეო საბჭომ უნდა ჩამოაყალიბოს აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, ხოლო შედარებით მცირე კომპანიების<sup>1</sup> შემთხვევაში, ორი წევრისგან. ეს წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორები.
- აუდიტის კომიტეტის ძირითადი როლი და ფუნქციები განსაზღვრული უნდა იყოს კომიტეტის დებულებაში, რომელიც შემუშავებულია კონკრეტული კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით.<sup>2</sup>
- აუდიტის კომიტეტმა და სამეთვალყურეო საბჭომ ყოველწლიურად უნდა შეისწავლოს აუდიტის კომიტეტის ეფექტურობა.

### კომიტეტის წევრობა და წევრების არჩევა

- აუდიტის თითოეული კომიტეტის ფუნქციონირება განსხვავებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტის შემადგენლობიდან და კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე.
- აუდიტის კომიტეტში თანამდებობაზე არჩევა შედის საბჭოს უფლებამოსილებაში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის წარმდგენი კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციისა და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

### უნარ-ჩვევები, გამოცდილება და პროფესიული მომზადება

- კომიტეტის წევრებმა უფლებამოსილების შესრულებისას უნდა გამოიყენონ დამოუკიდებელი განსჯისა და აზროვნების უნარები. დამოუკიდებელი განსჯა არის უმნიშვნელოვანესი მენეჯმენტის მიერ შესრულებული სამუშაოსა და შიდა და გარე აუდიტის მიერ გაწეული მარწმუნებელი მომსახურების შესაფასებლად.
- აუდიტის კომიტეტის შემადგენლობის შერჩევას, კანდიდატის წარმდგენმა კომისიამ და სამეთვალყურეო საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღონ კანდიდატის უნარ-ჩვევები, გამოცდილება, ცოდნა და პროფესიული კვალიფიკაცია, კოდექსში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად. კომიტეტის წევრებს კუმულატიურად უნდა გააჩნდეთ სათანადო კვალიფიკაცია იმ სფეროში, რომელშიც კომპანია საქმიანობს. სამეთვალყურეო საბჭომ ასევე აუცილებლად უნდა უზრუნველყოს, რომ აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ერთ წევრს ჰქონდეს სათანადო ფინანსური გამოცდილება<sup>3</sup>. კომიტეტის წევრების ფინანსური განათლების დონეს განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის თავისებურება, მაგრამ კორპორაციული ფინანსების ცოდნა, როგორც წესი, უნდა იქნას მოთხოვნილი. იმ კომპანიებისთვის კი, რომლებიც ჩართული არიან სპეციალიზებულ ფინანსურ საქმიანობაში, შესაბამისი ექსპერტული ფინანსური ცოდნა იქნება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.
- კომპანიამ აუდიტის კომიტეტის ახალ წევრებს უნდა ჩაუტაროს საორიენტაციო შეხვედრა, სადაც მათ მიაწოდებენ ინფორმაციას აუდიტის კომიტეტის როლის, უფლებამოსილების და წევრების მიერ გასაწევი სამუშაოს მოსალოდნელი

<sup>1</sup> ეს კომპანიები გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემულია FTSE 350 ინდექსის ქვეშ.

<sup>2</sup> ეს ნაწილობრივ ემთხვევა ფინანსური საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოს (FCA) წესდებას გახსნილობასა და გამჭვირვალობის შესახებ (DTR 7.1.3R.)

<sup>3</sup> ეს ნაწილობრივ ემთხვევა FCA-ს DTR 7.1.1AR.

ხანგრძლივობის შესახებ; შეხვედრაზე ასევე მოხდება კომპანიის ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის მიმოხილვა, რომელშიც გამოკვეთილია კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ფინანსური დინამიკა და რისკები. გაცნობითი პროგრამის ფარგლებში შეიძლება ასევე მოხდეს შეხვედრა კომპანიის თანამშრომლებთან.

17. აუდიტის კომიტეტის წევრებს ასევე რეგულარულად და დროულად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები, რომლებიც შეეხება კორპორაციული ანგარიშგების და რეგულაციების პრინციპების და ამ სფეროში მიმდინარე სიახლეების გაცნობას. გარკვეულ შემთხვევებში, ტრენინგი აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს ფინანსური ანგარიშგების, მოქმედი ანგარიშგების სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის გაცნობას; კომპანიის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვას; შიდა და გარე აუდიტის როლის, და ასევე რისკის მართვის საკითხების განხილვას.

### აუდიტის კომიტეტის სხდომები

18. აუდიტის კომიტეტის სხდომების ჩატარების დროს და სიხშირეს ადგენს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, კომპანიის კორპორაციულ მდივანთან შეთანხმებით. სხდომათა რაოდენობა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის როლისა და უფლებამოსილების შესაბამისად. რეკომენდებულია, რომ წელიწადში ჩატარდეს სულ მცირე სამი სხდომა, რომლებიც უნდა დაემთხვეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ციკლის მნიშვნელოვან თარიღებს<sup>4</sup>.
19. აუდიტის კომიტეტის სხდომებსა და საბჭოს სხდომებს შორის უნდა იყოს საკმარისი ინტერვალი, იმისათვის რომ ამ პერიოდში მოხერხდეს აუდიტის კომიტეტის სხდომაზე წარმოშობილი საკითხის მოგვარება და საბჭოსთვის სათანადო ანგარიშის ჩაბარება.
20. აუდიტის კომიტეტის სხდომებზე არავის აქვს დასწრების უფლება, კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების გარდა. მხოლოდ აუდიტის კომიტეტის პრეროგატივაა დაუშვას ან არ დაუშვას არაწევრი პირები რომელიმე კონკრეტულ სხდომაზე ან დღის წესრიგით განსაზღვრული რომელიმე საკითხის განხილვაზე. დადგენილია რომ, სხდომებზე რეგულარულად იქნებიან მოწვეული კომპანიის ფინანსური დირექტორი, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი და გარე აუდიტის წამყვანი პარტნიორი.
21. აუდიტის კომიტეტი, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, უნდა ხვდებოდეს შიდა და გარე აუდიტორებს, ხელმძღვანელობის გარეშე, რათა განიხილონ ინსპექტირებასთან ან აუდიტის სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.
22. აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ოფიციალური შეხვედრები. თუმცა მათი რაოდენობა იშვიათად იქნება საკმარისი. როგორც წესი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და უფრო ნაკლებად სხვა წევრები გამოხატავენ სურვილს ჰქონდეთ უწყვეტი კავშირი კომპანიის მართვაში ჩართულ ხელმძღვანელ პირებთან, როგორებიცაა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი, გარე აუდიტის წამყვანი პარტნიორი და შიდა აუდიტის ხელმძღვანელი.

<sup>4</sup> მაგალითად, როდესაც აუდიტის (შიდა და გარე) გეგმები ხელმისაწვდომია განსახილველად და როცა შუალედური ანგარიშგება, წინასწარი ანალიზი და მთლიანი წლიური ანგარიში თითქმის დასრულებულია.



## რესურსები

23. თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, აუდიტის კომიტეტი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საკმარისი რესურსით.
24. აუდიტის კომიტეტს უნდა ჰქონდეს წვდომა კომპანიის სამდივნო მომსახურებაზე აუდიტის კომიტეტის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით: მაგალითად, თავმჯდომარისთვის დახმარების გაწევა აუდიტის კომიტეტის სამუშაოს დასაგეგმად, სხდომების დღის წესრიგის შემუშავება, სხდომის ოქმის წარმოება, წლიური ანგარიშისთვის აქტივობების შესახებ მასალების მომზადება, ინფორმაციის შეგროვება და განაწილება და ნებისმიერი პრაქტიკული ხასიათის საჭირო დახმარების გაწევა.
25. კომპანიის კორპორაციულმა მდივანმა აუდიტის კომიტეტს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაცია, რათა განსახილველ საკითხებს დაეთმოს საკმარისი და სათანადო ყურადღება.
26. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოახდინოს აუდიტის კომიტეტის უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით, რათა კომიტეტის წევრებმა შეძლონ დამოუკიდებლად მიიღონ იურიდიული, ბუღალტრული ან სხვა სახის კონსულტაცია, როდესაც აუდიტის კომიტეტი გონივრულად ჩათვლის ამის საჭიროებას.

## ანაზღაურება

27. აუდიტის კომიტეტებს უწევთ მრავალმხრივი, ხანგრძლივი და ზოგჯერ ინტენსიური მუშაობა. კომიტეტის წევრებს და განსაკუთრებით, კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკისრებათ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და მათ სჭირდებათ სხვა თანამშრომლებზე ბევრად მეტი დროის დათმობა სამსახურისთვის.
28. აუდიტის კომიტეტის წევრების ანაზღაურების განსაზღვრის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების ანაზღაურებაც. თავმჯდომარის პასუხისმგებლობა და მის მიერ სამუშაოს შესრულებისთვის განკუთვნილი დრო იქნება აუდიტის კომიტეტის სხვა წევრებზე ბევრად აღმატებული, და ეს შესაბამისად, უნდა აისახოს მის ანაზღაურებაზეც.

## ნაწილი 3: ფუნქციები და მოვალეობები

### ურთიერთობა სამეთვალყურეო საბჭოსთან

29. აუდიტის კომიტეტმა უნდა ჩააბაროს ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების თაობაზე, მათ შორის:
- მოახსენოს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც გადაწყვიტა ფინანსური ანგარიშგების კუთხით და რა ზომებით მიაღწია შედეგს;
  - შეაფასოს გარე აუდიტის პროცესის ეფექტურობა და წარადგინოს რეკომენდაცია გარე აუდიტორების დანიშვნაზე ან ხელშეწყობაზე, და
  - გააკეთოს მოხსენება ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელზეც სამეთვალყურეო საბჭო მოითხოვს კომიტეტის აზრს. ამასთან, კომიტეტმა უნდა გამოყოს ის ასპექტები, რომლებიც მისი მოსაზრებით საჭიროებს კონკრეტულ ქმედებებს ან გაუმჯობესებას, არა აქვს მნიშვნელობა ეს იქნება საბჭოს მიერ მოთხოვნილი ასპექტები თუ სხვა, და გასცეს რეკომენდაციები ამ მიმართულებით მისაღებ ზომებზე.
30. როდესაც აუდიტის კომიტეტსა და საბჭოს შორის არსებობს უთანხმოება, საჭიროა გამოიყოს საკმარისი დრო ამ საკითხების განსახილველად უთანხმოების მოსაგვარებლად. თუ უთანხმოების მოგვარება ვერ ხერხდება, აუდიტის კომიტეტს უნდა ჰქონდეს უფლება აქციონერებს ამის შესახებ წლიურ ანგარიშგების საშუალებით მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.
31. აუდიტის კომიტეტმა საკუთარი ინიციატივების მნიშვნელოვანი საკითხებიც უნდა მიიღოს მხედველობაში და არ დაეყრდნოს მხოლოდ გარე აუდიტორების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს, თუ რა ინფორმაცია და რწმუნებაა საჭირო მასზე დაკისრებული ზედამხედველობის და მონიტორინგის როლის სათანადოდ შესასრულებლად, რათა საბჭოს მიაწოდოს რწმუნება ან რეკომენდაციები და ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში, განსაზღვროს თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მათ აღმოსაფხვრელად. აუდიტის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს მარწმუნებელი მონაცემები და ინფორმაციის წყაროები ადეკვატური და ობიექტურია.

### წლიური ანგარიშები და სხვა პერიოდული ანგარიშები

32. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს და მოახსენოს სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი საკითხების და იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების (აუდიტორთან<sup>6</sup> შეთანხმებული საკითხების გათვალისწინებით), შუალედური ანგარიშების, წინასწარი შედეგების გამოცხადების და სხვა დაკავშირებული ფორმალური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

<sup>5</sup> აუდიტის ხარისხი: აუდიტის კომიტეტებისთვის პრაქტიკულმა დახმარებამ (მაისი 2015) შესაძლოა ხელი შეუწყოს აუდიტის კომიტეტებს გარე აუდიტორების ეფექტურობის შეფასებაში.

<sup>6</sup> აუდიტორმა, აუდიტის სტანდარტების შესაბამისად, კომიტეტს უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომელსაც თვითონ ჩათვლის რელევანტურად სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტისთვის (მათი უფლებამოსილების განხორციელების კონტექსტში, რაც მათ ევალებათ კოდექსის შესაბამისად), რათა მან გააცნობიეროს ის გონივრული აზრი და მტკიცებულება, რაზე დაყრდნობითაც იღებს პროფესიული გადაწყვეტილებას და გამოაქვს დასკვნა ფინანსური ანგარიშგების თაობაზე აუდიტის ჩატარების დროს.

33. კომპანიის მენეჯმენტს და არა აუდიტის კომიტეტს, ევალება მოამზადოს სრული და ზუსტი ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები სააღრიცხვო სტანდარტებისა და სხვა რეგულაციების შესაბამისად. მენეჯმენტმა აუდიტის კომიტეტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მეთოდებზე, რომელიც გამოიყენეს მნიშვნელოვანი და უჩვეულო ტრანზაქციებისთვის, რომლის დროსაც ბუღალტრული აღრიცხვა უშვებს სხვადასხვა მიდგომების გამოყენებას. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.
34. ფინანსური ანგარიშგების შესახებ გარე აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტმა უნდა განსაზღვროს გაატარა, თუ არა, კომპანიამ სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკა, და საჭიროების შემთხვევაში, გააკეთა თუ არა შესაბამისი შეფასებები და დასკვნები. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული განმარტებითი შენიშვნების აღქმის სიმარტივე და სისრულე, ასევე განიხილოს მოცემული განმარტებითი შენიშვნები რამდენად შეესაბამება კონტექსტს.
35. იმ შემთხვევაში, თუ განხილვის დროს, აუდიტის კომიტეტს არ აკმაყოფილებს კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ასპექტი, მან საკუთარი მოსაზრებები უნდა გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს.
36. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილი ინფორმაცია, მათ შორის სტრატეგიული ანგარიში, და აუდიტსა და რისკის მართვასთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება.
37. სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნისამებრ, აუდიტის კომიტეტი ვალდებულია განიხილოს წლიური ანგარიშის შინაარსი და მიაწოდოს საბჭოს რეკომენდაცია იმის თაობაზე მთლიანობაში, რამდენად სწორი, თანაზომიერი და მისაღებია საბჭოს ანგარიშგების გავრცელება ამ საკითხებთან დაკავშირებით, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის<sup>7</sup>, C.1.1 ნაწილში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად. ამ ანგარიშგების მომზადებაში საბჭოსთვის დახმარების გასაწევად, ნებისმიერი შეფასება საჭიროებს გადამოწმებას, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას, წლიურ ანგარიშში მოცემული სხვა სახის მონაცემები.
38. იმ შემთხვევაში, როცა სხვა ანგარიშგებების თაობაზე საბჭოს თანხმობაა საჭირო, რომელშიც მოცემულია ფინანსური ინფორმაცია (მაგალითად, მნიშვნელოვანი ფინანსური უკუგება რეგულაციებზე, ან ფასზე მგრძობიარე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება), ასეთი ტიპის ანგარიშგებები აუდიტის კომიტეტმა, შემლებისდაგვარად, უნდა განიხილოს თავდაპირველად (ამასთან, აუცილებელია ანგარიშგების დროული წარდგენის მოთხოვნების გათვალისწინება საფონდო ბირჟაზე კოტირების წესების ან ინფორმაციის გამჟღავნების და გამჭვირვალობის წესების შესაბამისად).

### შიდა კონტროლი და რისკის მართვის სისტემები

39. სამეთვალყურეო საბჭოს უშუალო მოვალეობაა ორგანიზაციის რისკის და შიდა კონტროლის სისტემების მართვა, მაგრამ საბჭომ შეიძლება აუდიტის კომიტეტზე მოახდინოს ზოგიერთი ისეთი ფუნქციების დელეგირება, რომლებიც დაეხმარება საბჭოს ამ მოვალეობის შესრულებაში.

<sup>7</sup> გარდა ამისა, აუდიტორს, აუდიტის სტანდარტის მიხედვით, ევალება ასახოს ფინანსური ანგარიშგების ანგარიშში. თუ წლიურ ანგარიშში მოცემული საბჭოს ანგარიშგება არ შეესაბამება იმ მონაცემებს, რომელიც აუდიტორმა მიიღო აუდიტის ჩატარების დროს.

40. აუდიტის კომიტეტმა უნდა გადაამოწმოს კომპანიის შიდა ფინანსური კონტროლები ანუ, სისტემები, რომლებიც შექმნილია ფინანსური რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგისთვის, როგორც ეს დადგენილია კომიტეტის შესაძლო მოვალეობის და პასუხისმგებლობის კოდექსში<sup>8</sup>.
41. კომპანიის მენეჯმენტს ევალება ყოველდღიურად იზრუნოს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებზე, მათ შორის ფინანსური კონტროლის სისტემებზეც, და ეს უნდა გახდეს კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი. თუ ამ მოვალეობის ზედამხედველობა დელეგირებულია, აუდიტის კომიტეტმა უნდა განსაზღვროს, რა იქნება მისი როლი რისკის ქმედითი მართვისა და შიდა კონტროლის სანდო სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში, მათ შორის, ოპერაციული და შესაბამისობის კონტროლების და ამ სისტემების გადამოწმების მიმართულებით. თუ ეს ფუნქცია დელეგირებულია აუდიტის კომიტეტზე, მან მენეჯმენტისგან უნდა მიიღოს ანგარიში, მათ მიერ დანერგილი სისტემების ეფექტურობაზე, და ასევე შემაჯამებელი შეფასებები, იმ ტესტირების შედეგებზე, რომლებიც ჩაატარეს შიდა ან გარე აუდიტორებმა.
42. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეაფასოს ორგანიზაციის რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებზე, მათ შორის შიდა ფინანსური კონტროლის სისტემაზე, მიღებული რწმუნების დონე და განსაზღვროს საკმარისი არის თუ არა ეს იმისათვის, რომ საბჭო დარწმუნდეს კონტროლის ოპერაციულ ეფექტიანობაში.
43. თუ რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ფუნქციები დელეგირებულია სხვადასხვა კომიტეტებზე, საბჭომ უნდა შეაფასოს პასუხისმგებლობის ასეთი დანაწილების ზეგავლენა.
44. აუდიტის კომიტეტმა უნდა გადაამოწმოს და საბჭოს მიაწოდოს რეკომენდაცია წლიურ ანგარიშში ინფორმაციის წარდგენაზე შიდა კონტროლის, რისკის მართვის სისტემასა და კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭო ან რისკის კომიტეტი არეგულირებს ამ საკითხს.

### შიდა აუდიტის პროცესი შიდა აუდიტის მომსახურების მიღება

45. კომპანიაში შიდა აუდიტის ფუნქციის საჭიროებას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი. მათ შორის, კომპანიის საქმიანობის სფერო, ოპერაციების მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, დასაქმებულთა რაოდენობა, აგრეთვე დანახარჯები-სარგებლიანობის ასპექტები. მენეჯმენტს და საბჭოს შეიძლება დასჭირდეთ ობიექტური რწმუნებისა და რეკომენდაციების მიღება რისკსა და კონტროლზე. ასეთი რწმუნებით და რეკომენდაციებით უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ სათანადო რესურსებით აღჭურვილ შიდა აუდიტს (ან მის ეკვივალენტურ სამსახურს, სადაც მაგალითად, მესამე მხარეს შესაბამისი ხელშეკრულებით ეკისრება გარკვეული ტიპის ან მთლიანი სამუშაოების შესრულება).
46. აუდიტის კომიტეტმა რეგულარულად უნდა განიხილოს შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციების ჩამოყალიბების საკითხი. ამ სამსახურის საჭიროების შესაფასებლად, აუდიტის კომიტეტმა უნდა შეისწავლოს კომპანიის საქმიანობასთან, ბაზრებთან ან მის გარემოსთან დაკავშირებული ტრენდები ან ფაქტორები, რომლებიც გაიზარდა, ან შესაძლოა გაიზარდოს და კომპანიის წინაშე არსებული სხვა რისკები. რისკების ასეთი

<sup>8</sup> იხილეთ რისკის მართვის, შიდა კონტროლის და შესაბამისი ფინანსური და ბიზნეს ანგარიშგების გზამკვლევი. (2014 სექტემბერი)

ზრდა შეიძლება ასევე განპირობებულ იქნეს ისეთი შიდა ფაქტორებით, როგორცაა: ორგანიზაციული რესტრუქტურისა, ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების პროცესებში ან დაკავშირებულ ინფორმაციულ სისტემებში. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია უარყოფითი ტენდენციების გათვალისწინება, რომლებიც იკვეთება შიდა კონტროლის სიტემების მონიტორინგის ან გაუთვალისწინებელი გარემოებების სიხშირის შედეგად.

47. შიდა აუდიტის სამსახურის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა პროცესები, რათა მენეჯმენტი, აუდიტის კომიტეტი და სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფილი იქნან მარწმუნებელი მომსახურებით ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის სათანადოდ ფუნქციონირების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტმა უნდა გაანალიზოს რამდენად შეუძლიათ მსგავს პროცესებს უზრუნველყონ საკმარისი და ობიექტური რწმუნების მიღება.
48. შიდა აუდიტის სამსახურის არსებობის შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს მისი როლი და მანდატი; დაამტკიცოს შიდა აუდიტის საქმიანობის წლიური გეგმა; ასევე, ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს მისი მუშაობის ეფექტურობა. აუდიტის კომიტეტმა უნდა გადახედოს და ყოველწლიურად შეიტანხმოს შიდა აუდიტის დებულება, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა ორგანიზაციის მიმდინარე საჭიროებებთან.
49. აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტის გეგმის შესაბამისობა ბიზნეს-სფეროს ძირითად რისკებთან. აუდიტის კომიტეტმა ყურადღება უნდა დაუთმოს იმ სფეროებს, სადაც შესაძლებელია რისკის მართვის, შესაბამისობის, ფინანსების, შიდა და გარე აუდიტის სამსახურების ურთიერთშეთანხმება ან მათი ურთიერთგადაფარვა. აუდიტის კომიტეტმა უნდა გაუწიოს ზედამხედველობა ამგვარ საკითხებს, რათა უზრუნველყოს სამსახურების კოორდინაცია და ქმედითობა საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.
50. აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა სამსახურებს შორის ღია კომუნიკაცია და ასევე ის, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა შიდა აუდიტის საქმიანობის გეგმის ფარგლებში, შეაფასოს რისკის მართვის, შესაბამისობის და ფინანსების მართვის სამსახურების ეფექტურობა.
51. აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამსახურს ჰქონდეს შეუზღუდავი მოქმედების არე, საჭირო რესურსები და წვდომა ინფორმაციაზე, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, და ასევე იყოს სათანადოდ აღჭურვილი, რათა იმოქმედოს შიდა აუდიტის<sup>9</sup> პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
52. აუდიტის კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა ან განთავისუფლება. შიდა აუდიტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჭიროებისამებრ შეხვდეს აუდიტის კომიტეტს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ შიდა აუდიტს გააჩნდეს ისეთი ანგარიშგების ვერტიკალი, რომელიც ხელს შეუწყობს მის დამოუკიდებლობას აღმასრულებელი რგოლისგან და მისცემს შესაძლებლობას განახორციელოს დამოუკიდებელი ანალიზი.
53. შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტურობის შეფასებისას, აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამსახურის ხარისხი, გამოცდილება და კვალიფიკაცია იყოს კომპანიის საქმიანობის სფეროს ადეკვატური. აუდიტის კომიტეტმა ასევე უნდა განიხილოს ის მარეაგირებელი ქმედებები, რომლებიც განახორციელა მენეჯმენტმა

<sup>9</sup> ეს მითითებები მოცემულია დიპლომირებული შიდა აუდიტორების ინსტიტუტის აუდიტორთა ეთიკის კოდექსში, ასევე შიდა აუდიტის პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებში.

სამსახურის რეკომენდაციების დასანერგად და თუ რამდენად ადასტურებენ ეს ქმედებები შიდა აუდიტის სამსახურის შედეგიანობას.

54. შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასებისას, აუდიტის კომიტეტი უნდა:

- შეხვდეს შიდა აუდიტის ხელმძღვანელს აღმასრულებელი მენეჯმენტის გარეშე და განიხილოს სამსახურის ეფექტურობა;
- განიხილოს და შეაფასოს შიდა აუდიტის საქმიანობის წლიური გეგმა;
- მიიღოს ანგარიში შიდა აუდიტორთა მუშაობის შედეგებზე; და
- ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის როლი და ეფექტურობა, კომპანიის რისკის მართვის სისტემების მთლიან კონტექსტში.

55. აუდიტის კომიტეტს აგრეთვე შეიძლება სურდეს განიხილოს, არის თუ არა მიზანშეწონილი შიდა აუდიტის ეფექტურობის და პროცესების შესახებ დამოუკიდებელი, მესამე მხარის შეფასების ჩატარება.

56. იმ შემთხვევაში, როცა განიხილება საკითხი, რომ გარე აუდიტორმა შეასრულოს შიდა აუდიტის გარკვეული ასპექტები<sup>10</sup>, აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს ამ გადაწყვეტილების შედეგის ზეგავლენა კომპანიის მთლიანი შიდა კონტროლის პროცესების ეფექტიანობაზე, ზეგავლენა გარე აუდიტორის და შიდა აუდიტის ობიექტურობაზე და დამოუკიდებლობაზე, ასევე ინვესტორის აღქმაზე ამასთან დაკავშირებით. ინვესტორის აღქმაზე სავარაუდოდ მოახდენენ ზეგავლენას შემდეგი ფაქტორები:

- წლიურ ანგარიშში წარდგენილი ინფორმაცია გარე აუდიტორის მიერ ჩატარებული სამუშაოს შინაარსისა და მასშტაბების თაობაზე, და
- შიდა აუდიტის სამსახურის არარსებობის შემთხვევაში, ეყრდნობა თუ არა აუდიტის კომიტეტი მთლიანად გარე აუდიტორის მოსაზრებებს კომპანიის ძირითად ოპერაციებსა და მნიშვნელოვან ლოკაციებზე არსებული შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

### გარე აუდიტის ჩატარება<sup>11</sup>

57. აუდიტის კომიტეტი არის ორგანო, რომელსაც ევალება კომპანიისა და გარე აუდიტორებს შორის ურთიერთობების ზედამხედველობა.

### თანამდებობაზე დანიშვნა და სატენდერო პროცედურები

58. აუდიტორის დანიშვნა არის აუდიტის კომიტეტის ძირითადი პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს: შეთანხმებას მომსახურების საფასურსა და აუდიტის მოქმედების სფეროზე, ინიციატივას სატენდერო წინადადებაზე, ზემოქმედებას გარიგების პარტნიორის დანიშვნაზე და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ოფიციალური რეკომენდაციების მიწოდებას გარე აუდიტორების დანიშვნაზე, ხელმეორედ დანიშვნაზე ან განთავისუფლებაზე.

<sup>10</sup> სდკ-მ შესაძლოა შიდა აუდიტის კონტროლის განხორციელებაში არ ჩართოს გარე აუდიტორები.

<sup>11</sup> ეს ინფორმაცია ემთხვევა *მსხვილი კომპანიების საბაზრო კვლევისთვის სავალდებულო აუდიტორული მომსახურების შესახებ ბრძანების* III, IV, V ნაწილს (კონკურენტული ტენდერის სავალდებულო გამოყენება და აუდიტის კომიტეტის ფუნქციები) 2014 წ. ბრძანება, ასევე თავი II, ნაწილი 16 „კომპანიის შესახებ“ კანონიდან (Companies Act 2006), რომელიც დამატებულია 2016 რეგულაციით სავალდებულო აუდიტორებზე და მესამე ქვეყნების აუდიტორებზე, და ეხება აუდიტორების დანიშვნას სახელმწიფო კომპანიებში, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს. აუდიტის კომიტეტები მიიღებენ ინფორმაციას აუდიტორების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს ამ ნაწილში განხილულ თემებს.

59. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია აუდიტორული ფირმის და ცალკეული აუდიტორების შერჩევაზე. კომიტეტმა უნდა გაუწიოს ზედამხედველობა კადრების შერჩევის პროცესებს და უზრუნველყოს, რომ ტენდერში მონაწილე ყველა ფირმას ჰქონდეს სათანადო წვდომა ინფორმაციაზე და პიროვნებებზე სატენდერო პროცედურების მიმდინარეობის პერიოდში.
60. აუდიტის კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა შეაფასოს და მოახსენოს საბჭოს გარე აუდიტორების კვალიფიკაციის, დარგობრივი ცოდნის და რესურსების, მათი დამოუკიდებლობის და აუდიტის პროცესის ეფექტიანობის თაობაზე, ასევე მიაწოდოს რეკომენდაციები, თუ რამდენად შესაძლებელია მიმართონ აქციონერებს კონკრეტული გარე აუდიტორის ხელმეორედ დანიშვნის წინადადებით<sup>12</sup>. შეფასება უნდა მოიცავდეს აუდიტორული ფირმის მიერ შემოთავაზებული აუდიტური მომსახურების ყველა ასპექტს, და ასევე, უნდა ითვალისწინებდეს ანგარიშის მიღებას აუდიტორული ფირმის შიდა ხარისხის კონტროლის პროცედურებზე და ფირმის წლიურ ანგარიშებს გამჭვირვალობის შესახებ.
61. თუ გარე აუდიტორი უარს იტყვის აუდიტის ჩატარებაზე, აუდიტის კომიტეტმა უნდა შეისწავლოს ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები და იმსჯელოს სათანადო ზომებზე.
62. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეაფასოს ის რისკები, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების პროცესის ხარისხთან და ეფექტიანობასთან, განსაკუთრებით აუდიტორისა და აუდიტის კომიტეტს შორის კომუნიკაციის საკითხების თვალსაზრისით.

### **პირობები და ანაზღაურება**

63. აუდიტის კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს გარე აუდიტის ჩატარების პირობები და ანაზღაურება, შესაბამისი აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის.
64. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს და შეათანხმოს გარე აუდიტის მიერ გაცემული აუდიტის ჩატარების პირობების გარიგების წერილი ყოველი აუდიტის დაწყებამდე, რათა დარწმუნდეს, რომ ის განახლებულია და ასახავს ნებისმიერ ცვლილებას წინა წლის შემდგომ გამოვლენილ გარემოებებზე. გარე აუდიტის მოქმედების სფეროს განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტი აუდიტორთან შეთანხმებით. თუ აუდიტის კომიტეტი არ იწონებს კომპეტენციების შესაბამისობას, მან დამატებითი ზომები უნდა მიიღოს პრობლემის გადასაჭრელად.
65. აუდიტის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორულ მომსახურებაზე გადასახდელი თანხა არის შესაბამისი და, რომ ამ თანხის სანაცვლოდ შესაძლებელია ეფექტური და მაღალი ხარისხის აუდიტის ჩატარება.

### **დამოუკიდებლობა, მათ შორის არააუდიტორული მომსახურების უზრუნველყოფა**

66. აუდიტის კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა შეაფასოს გარე აუდიტორების დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, შესაბამისი კანონმდებლობის, რეგულაციის, ეთიკური სტანდარტის და სხვა პროფესიული მოთხოვნების გათვალისწინებით. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეისწავლოს რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორისგან მიღებული ინფორმაცია და მასთან ერთად განიხილოს ის საფრთხეები, რომლებიც ემუქრება მის დამოუკიდებლობას და განსაზღვროს ისეთი დაცვითი მექანიზმები, რომლებიც შეასუსტებს მათ. ამ შეფასებაში უნდა იყოს

<sup>12</sup> აუდიტის ხარისხი: პრაქტიკული დახმარება აუდიტის კომიტეტებისთვის (მაისი 2015), რომელიც დაეხმარება ეფექტურობის შეფასებაში.

გათვალისწინებული კომპანიასა და აუდიტურ ფირმას შორის არსებული ყველაწარმოებულ ურთიერთობები, მათ შორის, მთლიანი ჯგუფის მასშტაბით და სხვა ფირმებთან მიმართებაში, ასევე გარე აუდიტორის მიერ დაწესებული ნებისმიერი სხვა დაცვითი მექანიზმები. აუდიტის კომიტეტმა უნდა განსაზღვროს, გარე აუდიტორის, მმართველობის და შიდა აუდიტის მოსაზრებების გათვალისწინებით, თუ რამდენად უქმნიან ასეთი ურთიერთობები საფრთხეს აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

67. აუდიტის კომიტეტმა უნდა გაუწიოს ზედამხედველობა გარე აუდიტორის შესაბამისობას ეთიკურ სტანდარტებთან, ანაზღაურების დონესთან, რომელსაც კომპანია იხდის (თავისი მთლიანი შემოსავლების, ან მისი გარკვეული ნაწილის<sup>13</sup> შესაბამისად) და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან<sup>14</sup>.
68. აუდიტის კომიტეტმა ყოველწლიურად უნდა მოითხოვოს აუდიტორული ფირმისგან ინფორმაცია იმ მიდგომებსა და პროცესებზე, რომლებსაც ის იყენებს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და სათანადო მოთხოვნების შესაბამისობის გასაკონტროლებლად, მათ შორის აუდიტის პარტნიორებისა და თანამშრომლების როტაციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად<sup>15</sup>.
69. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეათანხმოს სამეთვალყურეო საბჭოსთან კომპანიის პოლიტიკა, გარე აუდიტორის ყოფილი თანამშრომლის დასაქმებასთან დაკავშირებით, ეთიკური სტანდარტის და სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით და განსაკუთრებით პოლიტიკა, რომელიც ეხება ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც იყვნენ კონკრეტული აუდიტორული ფირმის გუნდის ნაწილი და იქიდან პირდაპირ გადავიდნენ კომპანიაში. აუდიტის კომიტეტმა უნდა გააკონტროლოს ამ პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის განსაზღვროს გარე აუდიტორის ყოფილ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც ამჟამად იკავებენ მაღალ თანამდებობებს კომპანიაში და შეაფასოს ახდენს თუ არა ეს ფაქტორი ნეგატიურ ზემოქმედებას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაზე აუდიტის კუთხით, და განსაზღვროს საკუთარი დაცვითი მექანიზმები დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მათი ეფექტიანობიდან გამომდინარე.
70. აუდიტის გარიგების პარტნიორისა და მთავარი პარტნიორების ჩვეულებრივი როტაციის პერიოდი შეადგენს 5 წელს, მაგრამ როტაციის დროის მოქნილი ფორმატიც არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტს, რომ საჭიროა აუდიტის ხარისხის დაცვა გარე აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, აუდიტის გარიგების პარტნიორმა შეიძლება გააგრძელოს ამ თანამდებობაზე მუშაობა კიდევ 2 წელი, ისე რომ მთლიანობაში არ გამოუვიდეს 7 წელზე მეტი<sup>16</sup>. აუდიტის კომიტეტმა, შემდგომ დაგვარად დროულად, უნდა გაუმჟღავნოს აქციონერებს ინფორმაცია ამ ფაქტის და მიზეზების შესახებ.
71. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეიმუშავოს და ურჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის პოლიტიკის შესახებ აუდიტორების<sup>17</sup> მიერ არააუდიტორული სერვისების<sup>18</sup>

<sup>13</sup> იმ შემთხვევებში, როდესაც აუდიტორული კომპანიის მოგება არ მოიცავს მთლიანი კომპანიის მასშტაბით გამოთვლილ მოგებას, მის გარკვეულ ნაწილში იგულისხმება ის ნაწილი, რომლის მიხედვით მოხდა გარიგების პარტნიორის მოგების გადასახადის დაანგარიშება.

<sup>14</sup> აუდიტის კომიტეტმა განსაკუთრებულად უნდა განიხილოს მაგალითები, როცა კომპანიის აუდიტორის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა შეიძლება ზიანო მიაყენოს დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას, როგორც ეს მოთხოვნილია ეთიკის სტანდარტების 4.42-4.43. პუნქტებში.

<sup>15</sup> აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 260 (გაერთიანებული სამეფო) (განახლებული 2016 წლის ივნისში) „მმართველ რგოლთან კომუნიკაცია“ მოითხოვს ანგარიშის ჩაბარებას იმის თაობაზე, თუ რამდენად დაცულია ეთიკური ნორმები დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში.

<sup>16</sup> ეს ემთხვევა ეთიკურ სტანდარტს.

<sup>17</sup> არააუდიტორული სერვისები ნებისმიერი მომსახურებაა გარდა სავალდებულო აუდიტორული მომსახურებისა.



მიწოდების თაობაზე, ეთიკური სტანდარტებისა და სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით და იზრუნოს ამ საკითხის დარეგულირებაზე.

72. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია არააუდიტორული მომსახურების გაწევის დამტკიცებაზე. კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამ ტიპის მომსახურებამ არ შეუქმნას საფრთხე გარე აუდიტორის დამოუკიდებლობას ან ობიექტურობას. იმ არააუდიტორული მომსახურების ფარგლებში, რომელიც არ არის აკრძალული კანონით, აუდიტის კომიტეტმა უნდა გამოიყენოს ისეთი გადაწყვეტილება ამგვარი სერვისების შესახებ, რომელშიც **გაანალიზებულია:**

- საფრთხეები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი სერვისების მიღებისაგან და დაემუქროს დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას, და უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მისაღებია ადგილზე ამ საფრთხეების აღმოსაფხვრელად ან ისეთ დონემდე დასაყვანად, რომ არ შეუქმნან საფრთხე აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას;
- არააუდიტორული მომსახურების არსი;
- რამდენად შესაფერისია აუდიტორული ფირმის კომპეტენცია და გამოცდილება არააუდიტორული მომსახურების გასაწევად;
- გადახდილი ან გადასახდელი საზღაური არააუდიტორულ მომსახურებაზე, როგორც ინდივიდუალური სერვისებისთვის, ასევე მთლიანობაში, მათ შორის განსაკუთრებული დადგენილებები და ხელშეკრულების პირობები (მაგალითად, პირობითი საზღაურის დაწესება); და
- ის კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის შემსრულებელ პირთა ანაზღაურების პირობებს.

73. აუდიტის კომიტეტმა უნდა დააწესოს და გამოიყენოს ოფიციალური მოქმედების კურსი და გამოყოს არააუდიტორული სერვისების სახეობები, რომლისთვისაც გარე აუდიტორის გამოყენება იქნება წინასწარ შეთანხმებული. ასეთი შეთანხმება საჭიროა მხოლოდ იმ საკითხებისთვის, რომლებიც ძალიან უმნიშვნელო და ყოველდღიური ხასიათისაა. არააუდიტორული მომსახურების გაწევაზე ანგარიში უნდა მოიცავდეს იმ საკითხებს, რომლებიც საჭიროებენ წინასწარ შეთანხმებას.

74. აუდიტის კომიტეტმა უნდა განსაზღვროს სამოქმედო კურსი, თუ როგორ შეაფასებს არააუდიტორული სერვისების პირდაპირი და არსებითი ზემოქმედების დონეს აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, ასევე თუ როგორ შეაფასებს და დაასაბუთებს ამ ზეგავლენას და როგორ განსაზღვრავს გარე აუდიტორის დამოუკიდებლობას.

### **წლიური აუდიტორული ციკლი**

75. ყოველი წლიური აუდიტორული ციკლის დასაწყისში, აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს აუდიტის ჩასატარებლად სათანადო გეგმების არსებობა. კომიტეტმა უნდა შეაფასოს აუდიტორის სამუშაო გეგმა მთლიანობაში, მათ შორის არსებითობის დაგეგმილი დონეები და გეგმით განსაზღვრული აუდიტორული შემოწმებისთვის შეამოწმოს საჭირო რესურსები შეესაბამება თუ არა აუდიტის მოქმედების არეალს, და ასევე საყურადღებოა აუდიტის გუნდის სამუშაო სტაჟი, ცოდნა და გამოცდილება<sup>19</sup>.

ეთიკური სტანდარტის მეხუთე ნაწილი ასახავს იმ სერვისებს, რომლებიც ითვლება აკრძალულ არააუდიტორულ მომსახურებად საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის.

<sup>18</sup> აუდიტის კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს არააუდიტორული სერვისები, რომლებსაც სთავაზობს აუდიტორული კომპანია ან სხვა კომპანიები ჰოლდინგიდან რომელიმე მშობელ კომპანიას, შვილობილ კომპანიას ან ამ კომპანიის ფილიალს.

<sup>19</sup> გარე აუდიტის დაგეგმვის ეტაპისთვის სხვა მითითებები მოცემული დოკუმენტში „აუდიტის ხარისხი: პრაქტიკული დახმარება აუდიტის კომიტეტებისთვის“ (მაისი 2015), გვ. 9

76. აუდიტის კომიტეტმა თავიდან შესაძლოა მოისურვოს შეხვედრის გამართვა აუდიტორის გარეშე, რათა განიხილოს აუდიტის ხარისხზე გავლენის მქონე ფაქტორები და შემდგომ იმსჯელოს მათ შესახებ აუდიტორთან. აუდიტის კომიტეტმა გარე აუდიტორებთან ერთად დროულად უნდა განიხილოს მათი მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემები და აუდიტორის ანგარიში. ამ განხილვის დროს, აუდიტის კომიტეტმა უნდა:

- გარე აუდიტორებთან ერთად განიხილოს აუდიტის მსვლელობისას წარმოქმნილი ძირითადი საკითხები, ასევე დარეგულირებული საკითხები და ის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ დარეგულირებას;
- მოსთხოვოს აუდიტორს განმარტება იმის თაობაზე, თუ რა გზებით მოხდა უფრო ადრე იდენტიფიცირებული რისკების აღმოფხვრა;
- შეაფასოს ის მონაცემები, რომელიც მიღებულია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე თითოეული სფეროდან და განიხილოს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებული მთავარი გადაწყვეტილებები;
- მოისმინოს აუდიტორის მოსაზრება უფროსი რგოლის წარმომადგენლებთან და ფინანსური გუნდის სხვა წევრებთან ურთიერთობების შესახებ; და
- მოსთხოვოს კომპანიის ხელმძღვანელობას განმარტებები დაშვებულ შეცდომებზე, ასევე, საჭიროებისამებრ, მიიღოს ინფორმაცია გარე აუდიტორებისგან იმის თაობაზე, თუ რატომ რჩება კონკრეტული შეცდომები გამოუსწორებელი.<sup>20</sup>

77. აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს და გაუწიოს ზედამხედველობა მმართველობის მხრიდან გარე აუდიტორის მიერ გამოვლენილ კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების ხარისხს. აუდიტის კომიტეტმა ასევე უნდა განიხილოს აუდიტის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი წერილები, სანამ მოაწერს ხელს და სათანადოდ გაითვალისწინებს იმ საკითხებს, რომლებზეც იყო მოთხოვნილი განმარტებითი წერილი არასტანდარტული საკითხებთან მიმართებაში<sup>21</sup>. აუდიტის კომიტეტმა საკუთარი ცოდნის საფუძველზე უნდა განსაზღვროს მოცემული ინფორმაციის სისრულე და რელევანტურობა.

78. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეაფასოს აუდიტის პროცესის ეფექტურობა. გარე აუდიტის ხარისხის შეფასება კომპანიისგან გარკვეულ გარემოებებში მოითხოვს მენტალიტეტისა და კულტურის გათვალისწინებას; უნარ-ჩვევებს, ხასიათსა და ცოდნას; ხარისხის კონტროლს; და შეფასებას, მათ შორის აუდიტორთა კეთილგონიერებას, აღქმის უნარს ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების დროს, აუდიტის კომიტეტის კითხვებზე პასუხის გაცემის დროს, და მათ კომენტარებს, საჭიროების შემთხვევაში, შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით<sup>22</sup>.

79. ეფექტურობის შეფასებისას, აუდიტის კომიტეტმა უნდა:

- სთხოვოს აუდიტორს განმარტება აუდიტის ხარისხისთვის საფრთხის შემცველი რისკების თაობაზე, რომელიც მან გამოავლინა მუშაობის პროცესში და მათ აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ;
- განიხილოს აუდიტორთან ერთად, აუდიტორული ფირმის, ან ქსელურ დონეზე, რომელი მაკონტროლებელი პროცედურა იყო მისთვის დასაყრდნობი

<sup>20</sup> გარე აუდიტის შეფასებისთვის სასარგებლო იქნება „აუდიტის ხარისხი: პრაქტიკული დახმარება აუდიტის კომიტეტებისთვის“ (მაისი 2015),

<sup>21</sup> უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ გაერთიანებული სამეფოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის 580 დებულებაში „წერილობითი დასაბუთება“

<sup>22</sup> გარე აუდიტის შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „აუდიტის ხარისხი: პრაქტიკული დახმარება აუდიტის კომიტეტებისთვის“ (მაისი 2015)

აღმოჩენილი რისკების მართვაში აუდიტის დროს და მოიძიოს სხვა კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია მათი აუდიტის ხარისხის ან მათი აუდიტორული ფორმის მიმართ განხორციელებული შიდა და გარე შემოწმების დროს;

- გაარკვიოს შეასრულა თუ არა აუდიტორმა შეთანხმებული აუდიტორული გეგმა და ცვლილებების შემთხვევაში, გაიგოს რა იყო მიზეზები, მათ შორის ცვლილებები აუდიტის მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებით, და თუ რა ქმედებები განხორციელდა გარე აუდიტორების მიერ ამ რისკების შესამცირებლად;
- მიიღოს შეფასება აუდიტის ჩატარების შესახებ ამ პროცესში ჩართული წამყვანი პირებისგან, მათ შორის, ფინანსური დირექტორისგან და შიდა აუდიტის ხელმძღვანელისგან, ამასთან უნდა იყოს გათვალისწინებული გარე აუდიტორების ნდობის ხარისხი შიდა აუდიტთან მიმართებაში; და
- განიხილოს და გააკონტროლოს გარე აუდიტორისთვის მიწოდებული ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის შინაარსი და აუდიტის კომიტეტთან წარმოებული სხვა კორესპონდენცია, იმისათვის რომ კომიტეტმა შეაფასოს რამდენად კარგად გაეცნო ის კომპანიის საქმიანობას და დაადგინოს, რამდენად იქნა გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციები, და თუ არა-რა იყოს ამის მიზეზი.

## ნაწილი 4: კომუნიკაცია აქციონერებთან

80. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს აქციონერების ინტერესების სათანადო დაცვა ფინანსური ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის კუთხით. კომიტეტმა უნდა განიხილოს ანგარიშგების სიზუსტე და აღქმის სიმარტივე და იყოს მზად ინვესტორებთან შესახვედრად. წლიურ ანგარიშში უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე თავი, სადაც იქნება გაწერილი ის სამუშაოები, რომლებიც ევალუა აუდიტის კომიტეტს, რაც უნდა იყოს ხელმოწერილი თავმჯდომარის მიერ.
81. აუდიტის კომიტეტის შესახებ თავი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
- აუდიტის კომიტეტის როლი და სამუშაოს აღწერილობა;
  - როგორ დაკმაყოფილდა აუდიტის კომიტეტის შემადგენლობის შესახებ მოთხოვნები, აუდიტის კომიტეტის წევრების ვინაობა და კვალიფიკაცია (თუ სხვაგან არ იყო მითითებული);
  - აუდიტის კომიტეტის შეხვედრების რაოდენობა;
  - როგორ განხორციელდა აუდიტის კომიტეტის საქმიანობის შედეგების შეფასება;
  - როგორ შეაფასა კომიტეტმა გარე აუდიტის პროცესის ეფექტურობა<sup>23</sup> და რა მეთოდებით მოხდა გარე აუდიტორის თავდაპირველად ან ხელმეორედ დანიშვნა; მიმდინარე აუდიტორული ფირმის მომსახურების პერიოდი, მიმდინარე აუდიტის პარტნიორის სახელი, პარტნიორის ამ სტატუსით ფუნქციონირების პერიოდი; ბოლოს ჩატარებული ტენდერის თარიღი და წინასწარი გაფრთხილება მოსალოდნელ ტენდერის განმეორებით ჩატარების შესახებ<sup>24</sup>;
  - კომიტეტის პოლიტიკის აღწერა არააუდიტორული მომსახურების მიმართ, თუ აუდიტორი უზრუნველყოფს არააუდიტორულ მომსახურებას; როგორ არის დაცული აუდიტორის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა; კომპანიის კონსოლიდირებული ანგარიშგების სავალდებულო აუდიტორული მომსახურების საფასური რომელსაც უხდიან აუდიტორს და მისი ქსელის ფირმებს აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობისთვის და სხვა არააუდიტორული სერვისებისთვის, მათ შორის აუდიტორული სამუშაოების თანაფარდობა არააუდიტორულ სამუშაოებთან; თითოეულ მნიშვნელოვან გარიგებაზე, ან გარიგების ტიპზე, რა სერვისები იყო მიწოდებული და რატომ გადაწყვიტა აუდიტის კომიტეტმა, რომ კომპანიის ინტერესებში შედიოდა ამ სერვისების შეძენა გარე აუდიტორისგან;
  - როგორ შეაფასა კომიტეტმა შიდა აუდიტის ეფექტიანობა და დარწმუნდა, რომ სამსახურის ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენციები იყო სფეროს შესაფერისი; და
  - კომიტეტის მიერ განხილული საკითხები, მათ შორის:
    - ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები და როგორ მოხდა მათი დარეგულირება იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც წინასწარ იყო შეთანხმებული აუდიტორებთან<sup>25</sup>

<sup>23</sup> აუდიტის ხარისხი: პრაქტიკული დახმარება აუდიტის კომიტეტებისთვის“ (მაისი 2015) დაგეხმარებათ ეფექტიანობის შეფასებაში.  
<sup>24</sup> ეს ინფორმაცია ემთხვევა მსხვილი კომპანიების საბაზრო კვლევისთვის სავალდებულო აუდიტორული მომსახურების შესახებ 2014 წლის ბრძანების IV ნაწილს (კონკურენტული ტენდერის სავალდებულო გამოყენება და აუდიტის კომიტეტის ფუნქციები)  
<sup>25</sup> აუდიტის სტანდარტი ავალდებულებს აუდიტორს, ფინანსურ ანგარიშში აღნიშნოს თუ წლიურ ანგარიშში აუდიტის კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოყოფილი ნაწილი სათანადოდ არ პასუხობს ამ მოთხოვნებს.

- ფინანსური ანგარიშგების საბჭოს კორპორაციული ანგარიშგებაზე მომუშავე გუნდთან კომუნიკაციის წარმოების ხარისხი და არსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);და
- თუ კომპანიის აუდიტს განიხილავს ფინანსური ანგარიშგების საბჭოს აუდიტის ხარისხზე მომუშავე გუნდი, კომიტეტმა უნდა შეისწავლოს მიღებული შედეგები მათ აუდიტორებთან ერთად და შეაფასოს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს შედეგები. იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგები მნიშვნელოვანია, ეს მონაცემები და ასევე ის ქმედებები, რომლის განხორციელებას აპირებენ ისინი აუდიტორებთან ერთად უნდა გასაჯაროვდეს. თუმცა, აუდიტის ხარისხის შესახებ მონაცემების განხილვა არ შეიძლება ამ კატეგორიაში.

82. კომიტეტმა გონივრულად უნდა განსაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხებიდან რომელი იყო მნიშვნელოვანი. აუდიტის კომიტეტი კომპანიის კონკრეტული გარემოებების შესახებ ანგარიშის წარდგენის დროს უნდა ზრუნავდეს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხები იყოს ჩამოყალიბებული მოკლედ და გასაგები ფორმით.
83. მნიშვნელოვან საკითხებზე მოხსენების დროს, აუდიტის კომიტეტს არ მოეთხოვება იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც მისი აზრით, ზიანის მომტანია კომპანიის ინტერესებისათვის (მაგალითად, მოლაპარაკების პროცესში ეს ინფორმაცია ეხებოდა მომავალ მოვლენებს ან საკითხებს).
84. თუ წლიურ ანგარიშში ან სხვა ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია, მისი გამეორება არ არის საჭირო სხვა ნაწილში, უნდა იყოს მითითებული მხოლოდ ამ ინფორმაციის ორიენტირები.
85. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა ესწრებოდეს ყოველწლიურ აქციონერთა საერთო კრებას, რათა გასცეს პასუხები ყოველწლიური ანგარიშის იმ ნაწილის თაობაზე, რომელშიც განსაზღვრულია აუდიტის კომიტეტის საქმიანობა და მისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი საკითხები.



ფინანსური ანგარიშგების საბჭო  
VIII სართული  
ლონდონ ვოლის ქ.125,  
ლონდონი, EC2Y 5AS  
ტელ: +44 (0)20 7492 2300

[www.frc.org.uk](http://www.frc.org.uk)